ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №6

25 იანვარი 2022 წელი

13:00 საათი

ა/წ 25 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტან სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ნუცა ცქიტიშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი. კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მომხსენებელს,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს ნუცა ცქიტიშვილს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით.

ნუცა ცქიტიშვილის ინფორმაციით წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მე-3 და მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრებლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებში. კერძოდ, კონკრეტდება ის სუბიექტები, რომლებიც კომისიას აწვდიან პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციას, ხოლო ასეთ სუბიექტებად განისაზღვრებიან შემდეგი დაწესებულებები: ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრაციის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შესახებ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტისა და ქირის დამოუკიდებლად გადახდის შესახებ - შესაბამისი გამგეობა, საკმარისი შემოსავლების არსებობის კრიტერიუმთან დაკავშირებით კი მიეთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შემოსავლების სამსახურმა და შესაბამისმა საბანკო დაწესებულებ(ებ)მა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კომისიას. ხოლო, „სამუშაოს მაძიებლად" რეგისტრაციის კრიტერიუმის შესახებ ინფორმაციას კომისას აწვდის -საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტო.

წარმოდგენილი პროექტით ასევე დაკონკრეტდა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საკუთრებაში არსებობისა და სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციის საკითხი მხედველობაში მიიღება კომისიის მიერ პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიების მომენტში არსებული მონაცემის გათვალისწინებით.

პროექტის თანახმად, ცვლილება შედის თავშესაფრით/ საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის განისაზღვრულ კომისიის მიერ უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებულ პირთათვის/ოჯახებისათვის ქულათა მინიჭების იმ სისტემაში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა. კერძოდ არსებულ ჩაონთვალს ემატება შემდეგი გარემოება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პროგრამით მოსარგებლე პირი/ოჯახი , ხოლო მისანიჭებელი ქულა განისაზღვრება 3 ქულით.

პროექტით შეიცვალა მოქმედ რედაქციაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის გამომრიცხავ გარემოებას წამოადგენდა კომისიის მიერ პირის/ ოჯახში შემავალი წევრების შესახებ ინფორმაციის ვერ მოპოვება და განისაზღვრა, რომ განაცხადი არ განიხილება და განმცხადებელს ეცნობება უარი უსახლკაროდ რეგისტრაციაზე, თუ უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი პირის/ოჯახის შესახებ

შესაბამისი გამგეობა ვერ მოიპოვებს ინფორმაციას. აღნიშნული ცვლილება აისახა წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტში „დ“ ქვეპუნქტის დამატებით.

კომისიის დავმჯდომარემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილების პროექტი და ხაზი გაუსვა, რომ უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრირებულ პირთათვის/ოჯახებისათვის ქულათა მინიჭების სისტემაში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რიგითობა, არსებულ ჩამონათვალს დაემატა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პროგრამით მოსარგებლე პირი/ოჯახი, ხოლო მისანიჭებელი ქულა განისაზღვრება 3 ქულით.

ზურაბ ჩიკვილაძის ინფორმაციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას გემგეობები აწვდიდნენ ამომწურავ ინფორმაციას უსახლკარო პირის/ოჯახის სტატუსის მისანიჭებლად, წესში ამის შესახებ არ იყო ჩანაწერი, ცვლილების პროექტის თანხმად კი წესის ახალ რედაქციას დაემატება ჩანაწერი, რომ ,,უსახლკაროდ რეგისტრაციის მსურველი პირის/ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას უზრუნველყოფს შესაბამისი გამგეობა”.

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილება და გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება თუ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებსაც 18 წლის ასაკის შემდგომ მიეცემათ უფლება ისარგებლონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამით.

კომისიის წევრმა ვახტანგ სურგულაძემ იკითხა რა დრო სჭირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას პირისთვის/ოჯახისთვის სტატუსის მისანიჭებლად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლმა ნუცა ცქიტიშვილმა განმარტა, რომ კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული, თუმცა სტატუსის მინიჭებას შეიძლება დასჭირდეს რამოდენიმე თვე/ერთი წელი. სტატუსის მინიჭების ვადის გახანგრძლივება შესაძლოა განპირობებული იყოს სტატუსის მაძიებელი პირების/ოჯახების შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესის სირთულით.

კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჩიკვილაძე იმედოვნებს, რომ მომავალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის სხდომები ჩატარდება უფრო ხშირად, რაც ავტომატურად შეამცირებს სტატუსის მაძიებელი პირების/ოჯახებისთვის სტატუსის მინიჭების ვადებს

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის სრულმა შემადგენლობა დაუჭირა მხარი

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე